

საქართველოში მეზღვაურთა გადაადგილებისას ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით ეპიდემიოლოგიური კონტროლისა და კარანტინის წესები

მუხლი 1. მიზანი

1. ახალი კორონავირუსი COVID 19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით, საქართველოში მეზღვაურთა გადაადგილებისას ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით სპეციალური ზომების მიზანია საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიაზე მეზღვაურთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.

2. მეზღვაურის პროფესია, ამ ბრძანების მიზნებისათვის, ცხადდება საკვანძო პროფესიად.

მუხლი 2. სპეციალური ზომები

1. საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ცხადდება გემის ეკიპაჟის ცვლილების შესაძლებლობა შემდეგი პირობების დაცვის შემთხვევაში:

ა) გემის ეკიპაჟის წევრს გემზე ნამსახურები აქვს სამუშაო კონტრაქტის სრული ხანგრძლივობა;

ბ) ეკიპაჟის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობა აღარ შეესაბამება გემზე მის მიერ შესასრულებელ სამუშაოს;

გ) გემის დამატებითი ეკიპაჟის წევრი, რომლის შეცვლის შემთხვევაში არ დაირღვევა გემის ეკიპაჟის უსაფრთხო დაკომპლექტების საერთაშორისო მოწმობა, გაცემული გემის დროშის სახელმწიფოს მიერ;

დ) გემის ეკიპაჟი იცვლება გემის გაყიდვის გამო;

ე) გემზე იმყოფება ისეთი პერსონალი, რომელიც არ მიეკუთვნება გემის ეკიპაჟის განრიგს, როგორცაა სუპერინტენდანდი ან მომსახურე ინჟინერი (service engineers).

2. გემის ეკიპაჟის გემიდან ჩამოწერა (Sign Off) დასაშვებია:

ა) თუ დადასტურდება, რომ ეკიპაჟის წევრს არ ჰქონია ხმელეთთან კავშირი ბოლო 14 დღის განმავლობაში და ამ პერიოდის განმავლობაში მას არ ჰქონია COVID-19 დამადასტურებელი ნიშნები;

ბ) თუ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ შერჩეული სამედიცინო დაწესებულების უფლებამოსილი ექიმი დაადგენს, რომ მას შეუძლია შემდგომი მგზავრობის განხორციელება (Fit to Travel);

გ) თუ წარდგენილია დასაქმების ხელშეკრულების ვადის გასვლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან სამუშაოს შესრულებაზე ჯანმრთელობის შეუსაბამობის დამადასტურებელი უფლებამოსილი ექიმის მიერ შედგენილი დასკვნა, საჭიროების შემთხვევაში;

დ) ეკიპაჟის შეცვლის აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (გემის ყიდვა/გაყიდვის შეთანხმება და სხვ.).

3. გემზე სამუშაო ასვლა (sign on) დასაშვებია:

ა) თუ დადასტურებულია, რომ ეკიპაჟის წევრი გემზე ასვლამდე იმყოფებოდა 14-დღიან კარანტინში და ამ პერიოდის განმავლობაში მას არ აღენიშნებოდა დაავადების ნიშნები, უცხო ქვეყნის მოქალაქე მეზღვაურებისათვის;

ბ) ჩატარებულია COVID-19 მოლეკულური დიაგნოსტიკის ტესტი პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით (Polymerase chain reaction - PCR), მგზავრობის დაწყებამდე 48 საათით ადრე;

გ) თუ მეზღვაურის მოქალაქეობის სახელმწიფოში შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების უფლებამოსილი ექიმი მგზავრობამდე 24 საათით ადრე დაადგენს, რომ მას შეუძლია მგზავრობის განხორციელება (Fit to Travel) და წარდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია.

4. ტრანსპორტირების მოთხოვნები:

ა) ეკიპაჟის წევრი გადაყვანილ უნდა იქნეს საქართველოში ჩამოსვლის პუნქტიდან პირდაპირ გემზე ან გამგზავრების პუნქტში ან ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში იგი განთავსებულ იქნება საქართველოში არსებულ დროებითი განთავსების ადგილზე, რომელიც ფუნქციონირებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად. აღნიშნულ შემთხვევაზე ვრცელდება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები;

ბ) გემს არ მიეცემა საქართველოს ტერიტორიის დატოვების უფლება გემზე სამუშაოდ ამსვლელი ან გემიდან ჩამომსვლელი ეკიპაჟის ცვლილების პროცესის დასრულებამდე;

გ) მეზღვაური თან უნდა ატარებდეს მეზღვაურის დოკუმენტაციას, მათ შორის მეზღვაურს წიგნაკს, დასაქმების კონტრაქტს ან სხვა მაიდენტიფიცირებელ დოკუმენტს, რომელიც ამტკიცებს მეზღვაურის სტატუსს;

დ) მეზღვაურს თან უნდა ჰქონდეს მეზღვაურის დამსაქმებელი კომპანიის საგარანტიო წერილი, მგზავრობის გეგმა, მეზღვაურის დეტალები, გემის მონაცემები და ა.შ.

5. გემთმფლობელმა ეკიპაჟის ცვლილების შესახებ მოთხოვნა ყველა დამადასტურებელი დოკუმენტაციის თანხლებით უნდა წარადგინოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში.